ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7064163

ნომერი: AR11039484

თარიღი : 31.05.2024

გაცემის თარიღი : 04.06.2024

გაცნობის თარიღი : 04.06.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 33; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით დანელია პ/ნ 01024034923
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 4 ბ. 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ხაზობრივი ნაგებობის ტრასის შესაბამისი ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული თითოეული ნაგებობისათვის შესაბამისი ტრაექტორია (განსაზღვრული ტრაექტორიის შესაბამისად უნდა იქნას წარმოდგენილი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა, სადაც გათვალისწინებულია სამუშაოები);
- წარმოსადგენია არსებული წყალარინების ქსელის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი (რომელზედაც მოთხოვნილია დაერთება) და არსებული ნაგებობის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა;
- წარმოსადგენია საზოგადოებრივი სივრცის – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (სსიპ - ქონების მართვის სააგენტო) მიერ გაცემული თანხმობა შესაბამისი დანართით;
- ფოტომონტაჟი: წარმოსადგენია მითითებების „დაზუსტებული იქნას მიწისქვეშა კომუნიკაციების არსებობა და მათი ჩაღრმავება“-ს გარეშე შესრულებული დოკუმენტი, სადაც ნაცვლად აღნიშნულისა დაფიქსირებული და უკვე დაზუსტებული იქნება საპროექტო არეალში არსებული ხაზობრივი ნაგებობები, მიეთითოს მათი მესაკუთრის შესაბამისი მონაცემები და წარმოდგენილი იქნას თანხმობები/შეთანხმებული სქემა. პროექტი წარმოსადგენია მოთხოვნის შესაბამისად მხოლოდ წყალარინების ქსელის გათვალისწინებით (საპროექტო ელ.კაბელების გარეშე). წარმოსადგენია ასევე ფოტომონტაჟი, სადაც არსებული სიტუაციის ფოტოსურათებზე ნაჩვენები იქნება პროექტით გათვალისწინებული ზედაპირზე აღქმადი საპროექტო ნაგებობის ნაწილები (ვენტილაციის ფილტრი, მიმღები ჭის ზედაპირი და სხვა);
- საპროექტო არეალი მდებარეობს თრელიგორების არქეოლოგიური უბნის შეზღუდვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოსადგენია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ეროვნულ მუზეუმის თანხმობა, საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით;
- N01.13.01.022.194 მიწის ნაკვეთის უფლებამოსილი მესაკუთრის შპს „ორანჟერეას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404591802) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ერთპიროვნული დირექტორის დავით ანდღულაძის (პირადი N61001020301) მიერ განმცხადებლის დავით დანელიას (პირადი N01024034923) სახელზე წერილობით გაცემული - სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება / აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (მინდობილობაში, ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).
- N01.13.01.022.198 მიწის ნაკვეთის უფლებამოსილი მესაკუთრის შპს „კონტინენტალი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202060232) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ერთპიროვნული დირექტორის გია ბეჟაშვილის (პირადი N01025001403) მიერ განმცხადებლის დავით დანელიას (პირადი N01024034923) სახელზე წერილობით გაცემული - სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც უნდა დადასტურდეს, რომ განმცხადებელს ნამდვილად ხელეწიფება უფლებამოსილი მესაკუთრის სახელით მომართოს საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურება / აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (მინდობილობაში, ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.